1034/4-1/21 2 10022021

1034/4-1/21
10-02-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ფარგლებში „მწვანე ბიუჯეტის პროექტი“-ის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

რეკომენდაციების ნაწილში ერთ-ერთ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილი პროგრამების ჩამონათვალის გაფართოება, კერძოდ, მათში სოფლის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული არასასოფლო– სამეურნეო და სატყეო მიმართულებების ინტეგრირება, რაც სამომავლოდ სწრაფი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მომტანი იქნება.

„მწვანე ბიუჯეტის პროექტი“-ის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაცემული ამ და სხვა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი